საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ბრძანება

KARR0197855597420

№03-184 **07 / აგვისტო / 2020 წ.**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის № 1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის 39-ე და მე-40-ე მუხლების, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის პროცედურის“ ND2-F02 მე-6 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის გამოცხადდეს სტუდენტთა შიდა მობილობა.

2. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სტუდენტთა შიდა მობილობის რეგისტრაცია განხორციელდეს 2020 წლის 10 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.

3. შიდა მობილობის პროცესში კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს ერთი ფაკულტეტის ფარგლებში სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველ სტუდენტებსა და სტუდენტთა 2019-2020 სასწავლო წლის საშუალო შეწონილ ქულას. „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათოლებლო პროგრამაზე მობილობის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს სტუდენტებს, რომლების სწავლობენ რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე.

4. ნავიგაციის ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 20 ადგილი;

ბ) „საპორტო ოპერაციების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი;

5. საინჟინრო ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ბ) „გემის მექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე -40 ადგილი;

გ) „გემის ელექტრომექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე- 40 ადგილი;

დ) „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე- 20 ადგილი.

6. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) „ბიზნესის ადმინისტრირება“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 50 ადგილი;

ბ) ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 ადგილი.

გ) „ფინანსები - საფინანსო საქმე დ დაზღვევა ტრანსპორტზე“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 10 ადგილი;

დ) „საერთაშორის ბიზნესის მენეჯმენტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე- - 2 ადგილი;

ე) „ლოჯისტიკა და ექსპედირება“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 ადგილი;

ვ) „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 ადგილი.

7. შიდა მობილობისათვის სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა პირადი ელექტრონული პორტალის საშუალებით.

8. დაევალოს რექტორის აპარატს შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N30).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თეიმურაზ ჩოხარაძის 2020 წლის 22 ივლისის N1011 მოხსენებითი ბარათი. ნავიგაციის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება - 2020 წლის 14 ივლისის N11 სხდომის ოქმი;
საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მიხეილ ლეჟავას 2020 წლის 22 ივლისის N1006 მოხსენებითი ბარათი. საინჟნრო ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება - 2020 წლის 15 ივლისის N10 სხდომის ოქმი;
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის რომან მამულაძის 2020 წლის 22 ივლისის N1014 მოხსენებითი ბარათი. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეიტლება - 2020 წლის 22 ივლისის N9 სხდომის ოქმი.

რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შარაბიძე